

## სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

**სამაცივრე მეურნეობა დაარსდება გურჯაანში პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში.**

ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადასცეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 32 595 კვ. მ მიწის ნაკვეთი გურჯაანში (სარაჯიშვილის ქუჩაზე) შპს „წალკა აგროს“ პირდაპირი მიყიდვით სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. საკუთრების საბაზრო ღირებულება შეადგენს 180 000 ლარს. შესაბამისი ბრძანების პროექტი დამტკიცებულ იქნა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე. ქონების გადაცემა ტარდება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „წალკა აგრო“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის გეგმავს სამაცივრე მეურნეობის დაარსებას. განკარგულების გაცემიდან 2 წლის განმავლობაში უნდა დაიწყოს ფუნქციონირება. ამ მიზნით კომპანია მოახდენს 720 000 ლარის ინვესტირებას და დაასაქმებს 30 ადამიანს.

*Sarke Information Agency, 15.05.2015*

**დევნული ოჯახები გორის რაიონში აარსებენ თევზის მეურნეობას ევროკავშირის დაფინანსებით.**

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ცნობით, სოფელ კარალეთში (შიდა ქართლის გორის რაიონი) გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით გაიხსნა თევზის მეურნეობა. როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობაში აღნიშნეს, თევზის (ზუთხი) მეურნეობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული 4 პირის საკუთრებაშია. ამ დევნილებმა „კალიფორნიული საკალმახე მეურნეობების მაგალითზე“ შეიძინეს 0,4 ჰა მიწა მდინარის სანაპიროზე გორის მახლობლად და შექმნეს კომპანია (შპს „ზუთხი 2015“). მეურნეობა დაფინანსდა (თანხა მითითებული არ არის) ევროკავშირის პროექტის „იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო საშუალებების განვითარება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება FAO-ს მიერ. ეს პროექტი დაფინანსებულია 2 მილიონი ევროთი 2012 წლის დეკემბრიდან 2016 წლის აგვისტომდე და არის დევნილთა IV პროგრამის კომპონენტი. პროგრამა ითვალისწინებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ/იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელ თემთა მხარდაჭერას. მისი საწყისი ბიუჯეტი 2012-2016 წლებში არის 19 მილიონი ევრო, რომელიც უახლოეს მომავალში გაიზრდება 6,45 მილიონი ევროთი, აღნიშნეს ევროკავშირის წარმომადგენლობაში.

*Sarke Information Agency, 15.05.2015*

**სოფლის მეურნეობის მინისტრი: ევროკავშირი გამოყოფს 50 მლნ ევროს ENPARD II-ის ფარგლებში.**

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის მეორე ეტაპის (ENPARD II) ფარგლებში გამოყოფილი თანხა შეადგენს 50 მილიონ ევროს. ამის შესახებ პირდაპირ ეთერში საუბრისას მინისტრმა განაცხადა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ეკონომეტრი“. უნდა აღინიშნოს, ENPARD-ის ამჟამად მიმდინარე პირველი ეტაპის ფარგლებში გამოყოფილია 52 მილიონი ევრო. პროგრამის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2012 წლის დეკემბერში და მიზნად ისახავს დახმარებას საქართველოში სურსათის წარმოებასა და სოფლად სიღარიბის შემცირებაში.

*Sarke Information Agency, 15.05.2015*

**ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშე სოფლის მეურნეობის სექტორში: თანამშრომლობა კოოპერატივებთან ENPARD-ის ფარგლებში უფრო მჭიდრო იქნება.**

ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშემ სოფლის მეურნეობის სექტორში ხუან ეჩანოვემ განაცხადა, რომ საქართველოს რეგიონებში კოოპერატივებთან თანამშრომლობა ევროპული სამეზობლო პროგრამის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამის (ENPARD) ფარგლებში უფრო მჭიდრო გახდება. მომავალი წლიდან ENPARD შეიცვლება და გაგრძელდება 2018 წლამდე (ENPARD II), განაცხადა ეჩანოვემ. ეს ცვლილება აისახება როგორც დაფინანსების ზრდაში, ასევე ახალი პროფილების ჩამოყალიბებაში, თუმცა პროცესები, რომლებიც 2013 წელს დაიწყო, არ შეწყდება. ეჩანოვემ ამის შესახებ 12 მაისს განაცხადა ევროპის დღის აღნიშვნის ღონისძიებაზე ახალქალაქში (სამცხე-ჯავახეთი). სამცხე-ჯავახეთი არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ წარმატებით მუშაობს კოოპერატივები, განაცხადა ატაშემ და აღნიშნა, რომ რეგიონში და, ზოგადად, საქართველოში მიწის პრივატიზაციამ პრობლემა შეუქმნა მცირემიწიან ფერმერებს და ამიტომ კოოპერატივები ერთადერთი გამოსავალია. აღსანიშნავია, რომ 9 მაისს ევროკავშირის წარმომადგენლობამ და Oxfam-მა (ENPARD-ის პარტნიორი ორგანიზაცია) აღნიშნეს ევროპის დღე მისაქციელში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) საქართველოს ტერიტორიაზე სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს მიერ ევროკავშირის დაფინანსებით დაარსებულ ეკოლოგიური მეზოსტნეობის მეურნეობაში. ENPARD დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ 52 მილიონი ევროთი. შეთანხმების, რომელსაც ხელი მოეწერა 2012 წლის დეკემბერში, თანახმად პროგრამის მიზანია საქართველოში საკვები პროდუქტების წარმოების განვითარება და სოფლად სიღარიბის დონის შემცირება.

*Sarke Information Agency, 13.05.2015*

**ჩინეთი გადასცემს 10,76 მლნ აშშ დოლარის სამელიორაციო ტექნიკას საქართველოს.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ ჩინეთის მთავრობა 10,76 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 26 ერთეულ სამელიორაციო მანქანას გადასცემს საჩუქრად საქართველოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და მისმა ჩინელმა კოლეგამ ჰენ ჩანგფუმ ხელი მოაწერეს ერთობლივ სამოქმედო გეგმას შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა თბილისში. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სოფლის მეურნეობის ერთობლივი პროექტების განხორციელების საკითხი და მიუთითეს, რომ საქმე ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა ორგანული სოფლის მეურნეობა, მეჩაიეობა, მეთევზეობა და თევზის გადამამუშავებელი ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავება. ჩანგფუმ, რომელიც იმყოფება საქართველოში, შეხვდა დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. პრემიერის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა განიხილეს ერთობლივი საინვესტიციო პროექტების პერსპექტივები და „აბრეშუმის გზის ფორუმის“ მნიშვნელობა, რომელიც გაიმართება საქართველოში. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სოფლის მეურნეობის ექსპორტის დახმარებაზე, ხოლო ჩინეთის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს ფორუმში, განაცხადეს პრეს-სამსახურში. საქსტატის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტმა ჩინეთში შეადგინა 2014 წელს 90,39 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი ჩინეთიდან შეადგენს 732,96 მლნ აშშ დოლარს.

*Sarke Information Agency, 11.05.2015*

**ყავის საწარმო გაიხსნება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში.**

მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ხელშეკრულება გააფორმა კომპანიასთან „BB“ (ყავის საწარმო) სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში. კომპონენტის შესაბამისად, სააგენტო გადაიხდის 2 წლის განმავლობაში 10%-იან საპროცენტო განაკვეთს 1 მილიონი აშშ დოლარის კრედიტზე, რომელიც კომპანიამ ისესხა საქართველოს ბანკისგან საწარმოს გასახსნელად. სააგენტოს ცნობით, კომპანიას „BB“ „13 წლიანი გამოცდილება აქვს ყავის რეალიზაციაში“, დაასაქმებს 20 ადამიანს და გარდა ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისა, მომავალში გეგმავს ექსპორტს აზერბაიჯანში. ახალი საწარმო, რომელშიც კომპანია 1,8 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას აპირებს, უნდა გაიხსნას 6 თვის

განმავლობაში სოფელ ნატახტარში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), განაცხადეს სააგენტოში. სააგენტოს ცნობით, 73 ბენეფიციარი უკვე სარგებლობს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ორივე კომპონენტით (ფინანსური მხარდაჭერა და მხარდაჭერა ფიზიკური ინფრასტრუქტურის მემშვეობით), ხოლო მოსალოდნელი ინვესტიციები შეადგენს 121,21 მლნ.  
*Sarke Information Agency, 06.05.2015*

**ხილის გადამამუშავებელი საწარმო და მეურნეობა შეიქმნება მცხეთაში.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6 მიწის ნაკვეთი (საერთო ჯამში 163,52 ჰა) სოფელ მუხრანში (მცხეთის მუნიციპალიტეტი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) გადაეცა პირდაპირი მიყიდვის წესით 170 000 ლარად კერძო პირს დავით ისახანაშვილს. შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ 1 წლის განმავლობაში ისახანაშვილმა უნდა ააშენოს ხილის გადამამუშავებელი საწარმო ერთ-ერთ ნაკვეთზე არანაკლებ 500 000 ლარი ინვესტიციით. გარდა ამისა, 18 თვის განმავლობაში მან უნდა ააშენოს მეცხოველეობის ფერმა არანაკლებ 40 სულ საქონელზე არანაკლებ 130 000 ლარი ინვესტიციით. დარჩენილ 4 ნაკვეთზე ისახანაშვილი იღებს ვალდებულებას, რომ გააშენებს მრავალწლიან მცენარეებს (თითოეული ნაკვეთის არანაკლებ 60%-ზე) არანაკლებ 1,7 მილიონი ლარი ინვესტიციით.

*Sarke Information Agency, 04.05.2015*

**ACT: თბილისის მოსახლეობა თურქეთის და ჩინეთის კვების პროდუქტებს ნაკლებად საიმედოდ თვლის.**

ონლაინ ჟურნალის Marketer, Analysis and Consulting Team (ACT) დაკვეთით ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ თბილისის მოსახლეობა თურქეთის და ჩინეთის კვების პროდუქტებს ნაკლებად საიმედოდ თვლის. გერმანულ პროდუქციას გამოკითხულთა 56% თვლის ყველაზე საიმედოდ. კომპანიამ აღნიშნა, რომ ყოველი მეორე რესპონდენტი (54%) ასევე სანდოდ თვლის ქართულ პროდუქციას. „რესპონდენტთა უმრავლესობამ (63%) განაცხადა, რომ ისინი თითქმის ყოველთვის ამოწმებენ შეძენილი კვების პროდუქტების წარმომავლობის ქვეყანას; გამოკითხული პირების ერთმა მეოთხედმა (23%) განაცხადა, რომ ყურადღებას აქცევს ზოგჯერ და დაახლოებით მეათედმა (13%) განაცხადა, რომ ისინი არასდროს დაინტერესებულან წარმოების ქვეყნით“, განაცხადეს კომპანიაში. კვლევა ჩატარდა მარტში 419 ზრდასრულ თბილისელს შორის. ACT-ს განცხადებით, სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4,9%-ს.

*Sarke Information Agency, 01.05.2015*

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია სრულდება.**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო კომპანია მათის თვეში დაასრულებს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას, რომელიც მიმდინარეობდა 2013 წლიდან. პროექტის ღირებულება შეადგენს 9,496 მლნ ლარს. შედეგად, 10 სოფლის 20 000 მცხოვრები ქვემო ქართლის რეგიონში შეძლებს გამოიყენოს 7 120 ჰა გაუშენებელი მიწა, რომელიც სარწყავი გახდა პროექტის შემდეგ, განაცხადეს სამინისტროში. ამჟამად სამელიორაციო კომპანია სამუშაოებს ატარებს ქვემო ქართლის 8 ობიექტზე.

*Sarke Information Agency 29.04.2015*

**კონკურენციის სააგენტო სწავლობს ნავთობპროდუქტების, ფქვილის და ყავის ბაზრებს, ასევე მინერალური თერმული წყლების და ტვირთების მომსახურების სეგმენტებს.**

კონკურენციის სააგენტოს წლიური ანგარიშის თანახმად ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნავთობპროდუქტების, ფქვილის და ყავის, ასევე თერმული მინერალური წყლების და საექსპედიტორო მომსახურების სეგმენტების კვლევა. შეგახსენებთ, რომ სააგენტოს დებულება დამტკიცდა 2014 წლის აპრილში, ხოლო აღნიშნული კვლევა დაიწყო იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში. ამასთან, ნავთობპროდუქტების ბაზარზე სააგენტომ კვლევა დაიწყო საკუთარი

ინიციატივით. 2008-2014 წლების ინფორმაცია დამუშავდა, გამოკითხული იქნა 300-ზე მეტი ეკონომიკური აგენტი, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვა სტრუქტურები. ამჟამად ტარდება შემაჯამებელი და საბოლოო ანალიზი. ფეკილის ბაზრის კვლევა დაიწყო ხორბლისა და პურპროდუქტების ასოციაციის „გლობალ აგროს“ მოთხოვნით. მოთხოვნა ეხება Carat Holding-ის მიერ ბაზრის მონოპოლიზაციას. ამ კომპანიამ შეიძინა 3 კომპანია საქართველოში (აგროსისტემები, Carmen და Carmen-K). ყავის ბაზრის მონიტორინგით დადგინდა, რომ იქ მუშაობს ათეულობით კომპანია, რომელთაგან თითქმის არავის აქვს 10% წილი. ასე, რომ კონცენტრაცია ამ ბაზარზე დაბალია, განაცხადეს სააგენტოში. თერმული მინერალური წყლების სეგმენტის კვლევა წყალტუბოში (კურორტზე იმერეთის რეგიონში) ეხებოდა შესაძლო მონოპოლიზაციას სს „ბალნეოსერვისის“ (თერმული წყლების ათვისების 25-წლიანი ლიცენზიის მფლობელი წყალტუბოში) მხრიდან. კერძოდ, კომპანიამ უარი განაცხადა გადასცეს აუთვისებელი წყლის რესურსი კონკურენტ კომპანიას. თავის მხრივ, საექსპედიტორო საქმიანობის შესწავლა დაიწყო შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“-ს თხოვნით, რომელიც ასაჩივრებს დარღვევებს „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი შპს „Trans Caucasus Terminals“ მხრიდან. კონკურენციის სააგენტოს პერსონალი 22 ადამიანია. 2014 წელს სააგენტოს საბიუჯეტო (არასრული) დაფინანსებამ შეადგინა 510 095 ლარი.

*Sarke Information Agency 29.04.2015*

**პრემიერ-მინისტრი: 29 მლნ ლარის საინვესტიციო პროექტები ხორციელდება იმერეთში.**

პრემიერ მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი აცხადებს, რომ დაახლოებით 29 მილიონი ლარის საინვესტიციო პროექტები ხორციელდება იმერეთის რეგიონში. ინვესტიციები განხორციელდა სწრაფი კვების ობიექტების გახსნაში ქუთაისსა და ზესტაფონში, ბენზინგასამართი სადგურების დაარსებაში, სამშენებლო მასალების საწარმოში, სასათბურე ობიექტების მშენებლობაში, მეორადი პლასტმასის გადამამუშავების საწარმოში და ა.შ., განაცხადა პრემიერმა ვიზიტის დროს რეგიონში. მთავრობის განცხადებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმერეთში 2013 წელს – 60 მილიონი, ხოლო 2014 წელს – 23 მილიონ აშშ დოლარი იყო. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 1 220 კრედიტი, რაც საერთო ჯამში 31 მილიონი ლარია, გაიცემა რეგიონში, 7 ახალი საწარმო შეიქმნა 2 მილიონი ლარი საერთო ღირებულების კრედიტების მეშვეობით. 50 არსებული საწარმო ხელახლა აღჭურვილია 3,5 მილიონი აშშ დოლარის საერთო ღირებულების კრედიტების მეშვეობით, განაცხადა მთავრობამ.

*Sarke Information Agency, 27.04.2015*

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო: 52 236 ჰექტარი მიწა მუშავდება ამ ეტაპზე.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 52 236 ჰა უკვე მუშავდება ამ დროისთვის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების დახმარების 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სამინისტროს შპს „მექანიზატორი“ და 105 კონტრაქტორი კომპანია ასრულებენ სამუშაოებს, აღნიშნავს სამინისტრო და განმარტავს, რომ 390 ტრაქტორი მუშაობს დასავლეთ საქართველოში, ხოლო 510 – აღმოსავლეთ საქართველოში. სამინისტროს განცხადებით, წლებიდან პროგრამის 50 მილიონი ლარის ბიუჯეტი მოიცავს 800 000 ფერმერს: 478 074 ფერმერმა მიიღო ე.წ. „სახნავი ბარათები“, ხოლო „სასოფლო-სამეურნეო ბარათები“ გამოყოფილია 286 186 ბენეფიციარისთვის. ამ წელს პროგრამის ბოლო ეტაპი (დაიწყო 2013 წელს) ხორციელდება, აღნიშნა სამინისტრომ.

*Sarke Information Agency, 27.04.2015*

**ქართული „ვისოლ ჯგუფი“ ზრუნავს მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.**

ჩემს საკუთრებაშია რამდენიმე წარმატებული კომპანია, რომლებიც „ვისოლ ჯგუფის“ ნაწილია. ჩვენ გავაფართოვეთ ორი კომპანია - „ვისოლ პეტროლიუმი“ და „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელი EBRD-ის დაფინანსების (70 მილიონი აშშ დოლარამდე „ვისოლის“ და 13 მილიონი აშშ დოლარი „სმარტისთვის“) დახმარებით. „სმარტის“ 14 სუპერმარკეტს ქართული ოჯახები უპირატესობას ანიჭებენ ხარისხის გამო. ჩვენ ვთავაზობთ იმ პროდუქციას, რომელიც მიღებულია დასავლეთში, მაგრამ ახალია აქ: ეს არის ადგილი, სადაც თქვენ მაღალი ხარისხის

სასურსათო პროდუქციას შეიძენთ, ხოლო ბავშვები გაერთობიან სათამაშო მოედანზე და შეგიძლიათ შემდეგ აქვე მიირთვათ. ჩვენი სუპერმარკეტები ყოველთვის „ვენდის“ სწრაფი კვების ობიექტთან ერთად ფუნქციონირებს და ახლა მას შეუერთდა Dunkin' Donuts-ის რესტორნები. ჩვენი სავაჭრო ცენტრების უმეტესობასთან ასევე შეგიძლიათ ჩაასხათ ბენზინი „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურზე. ჩვენი ჯგუფი დაარსდა ადრეულ 1990-იან წლებში „ვისოლ პეტროლიუმით“ და პირველი კავშირი EBRD-სთან იყო, როდესაც ჩვენ ავიღეთ საკრედიტო ხაზის სესხი საშუალო ზომის საწარმოებისთვის. „ვისოლის“ ზრდასთან ერთად იზრდება ჩვენი თანამშრომლობა. 2014 წელს პირველი სინდიკატური სესხი მიიღო ჩვენმა ქართულმა კომპანიამ EBRD-ისგან FMO-ს ჰოლანდიის განვითარების ბანკთან ერთად. ჩვენი ფილოსოფია ფოკუსირებულია სინერგიაზე, ნამცხვრები სუპერმარკეტისთვის და ღვეზელები ერთი საცხობიდან მოდის. ჩვენ ვართ წარმატებული, გვაქვს დიდი შემოსავლები და გაფართოების გეგმები. ჩვენი სტრატეგია არის კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილება. გვაქვს რამდენიმე ყველაზე სრულყოფილი ლაბორატორია ქვეყანაში ყველა ჩვენი პროდუქციის შესამოწმებლად და ჩვენმა კლიენტებმა იციან, რომ შეუძლიათ გვენდონ. ჩვენი ჯგუფი ასევე სტაბილურობის მომხრეა, ნარჩენების შემცირებიდან სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლამდე და ჩვენ ვხედავთ სარგებელს ჩვენი ბიზნესის შედეგების სახით. „ვისოლმა“ დაიწყო ბუნებრივი გაზის გასამართი სადგურების მშენებლობა ჯერ კიდევ 2006 წელს, როდესაც პრაქტიკულად ყველა მანქანა საქართველოში ჩვეულებრივ ბენზინს მოიხმარდა. დღეს საქართველოს მანქანების დაახლოებით მეოთხედი ბუნებრივ აირზეა გადაყვანილი: გაზი ეკოლოგიურად უფრო სუფთაა, ვიდრე ბენზინი და იაფია, თუნდაც ნავთობის დაბალ ფასებთან შედარებით. ჩვენ გვაქვს 16 გაზის გასამართი სადგური. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფრო ხარისხიანი პროდუქტების წარმოება უნდა მოხდეს საქართველოში. იმპორტის ჩანაცვლება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მთავრობისთვის და ჩვენც ვეთანხმებით ამას. დღეს ჩვენი საბაკალეო პროდუქციის დიდი ნაწილი კვლავ ჩამოგვაქვს გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ ახალი ხილის და ბოსტნეულის 85 პროცენტი ადგილობრივია. ჩვენ დაახლოებით 200 დასახელების პროდუქციას ვაცხობთ, მათ შორის პურს, ღვეზელებს, ნამცხვრებს და ბურგერების ფუნთუშებს. რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ ცნობილი ნაყინის Frosty დამზადება ჩვენი „ვენდის“ რესტორნებისთვის საქართველოში ქართული პროდუქციით. დოქტორი სოსო ფხაკაძე, პრეზიდენტი, „ვისოლ ჯგუფი“.

*EBRD, 22.04.2015*

### **მარნეულის სასურსათო ქარხანა ქართულ პროდუქციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს EBRD ეხმარებოდა „მარნეულს“ გაფართოებაში წლების განმავლობაში.**

ყველას უყვარს ქართული საკვები, მაგრამ ყველამ არ იცის რა რაოდენობის პროდუქტების იმპორტს ახორციელებს საქართველო. ეკონომისტებს შეუძლიათ თქვან, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა პერსპექტიული დარგია. ძალიან ცოტას შეუძლია დაიწყოს ახალი საქმე ნულიდან. მაგრამ საქართველოში ხშირად უნდა დაიწყო ნულიდან, რადგან ის, რაც დარჩა საბჭოთა კავშირიდან, ნანგრევებად იყო ქცეული. ჩვენც სწორედ ასე მოვიქცით. ჩვენ შევქმენით რაღაც არაფრისგან - არა მხოლოდ ჩვენი კომპანია, არამედ ბევრი ახალი რამ მთელ ქვეყანაში და როცა ვუყურებ, რას მივაღწიეთ და ვაგემოვნებ ჩვენ გემრიელ, ტრადიციულ საწებელს, მწნილს და ჯემს, დამზადებულს საუკეთესო ქართული ხილის და ბოსტნეულისგან, მე ვიცი, რომ ღირდა ამისთვის შრომა. ჩვენი კომპანია „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ დღეს ერთ-ერთი უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო კომპანიაა საქართველოში და ფლობს 1000 ჰა-ზე მეტ მიწას. ჩვენ ვაწარმოებთ 60-ზე მეტ პროდუქტს, ტომატის პასტიდან ჩვენს ტრადიციულ საწებლებამდე - აჯიკა და ტყემალი, რომელიც მზადდება მთლიანად საქართველოს ხილისა და ბოსტნეულისგან. აქედან ნახევარი ჩვენ მოგვყავს, ნახევარს ვიძენთ ადგილობრივი მომწოდებლებისგან. მარნეულის სასურსათო ქარხანა დაარსდა 2007 წელს ჰოლდინგის სს „მარგებელის“ ფარგლებში, რომელიც თავად დაარსდა 1997 წელს. ჰოლდინგი ასევე აწარმოებს ცნობილ მინერალურ წყლებს „ნაბელავი“ და „ბახმარო“ და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კომპანიას „მარნეული აგრო“ და სადისტრიბუციო კომპანიას „ენგადი“. EBRD-ის დაფინანსების დახმარებით ახალი ტექნიკის შეძენის, წარმოების გაზრდის და მოსავლიანობის გაუმჯობესების საშუალება მოგვეცა. ჩვენ

ყოველწლიურად სტაბილურად ვზრდით წარმოებას. დღეს ჩვენ მივაწვდით მწნილის დაახლოებით 45 პროცენტს შიდა ბაზარზე და ტომატის პასტის დაახლოებით ერთ მესამედს. მაგრამ ბაზარს შეუძლია აითვისოს უფრო მეტი ადგილობრივი საკვები. ავიღოთ ტრადიციული მწნილები, რატომ უნდა ჩამოგვექონდეს ვიეტნამიდან? ეს არის ერთ-ერთი იმპორტირებული პროდუქტი, რომელიც ჩვენ გვინდა ჩავანაცვლოთ და ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ სამჯერ გავზარდოთ წარმოება. ჩვენი მთავარი პრობლემა არის ნედლეულის მოწოდება. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ჩვენ შეგვექმნა, არის საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა. მაგალითად, საშუალო ქართული მეურნეობა აწარმოებს 20 ტონა პომიდორს ჰექტარზე, ხოლო ევროპაში და თურქეთში - 90 ტონას და აშშ-ში - 120 ტონამდე. ეს არის ერთ-ერთი ის სფერო, სადაც EBRD-ს დახმარება მნიშვნელოვანი იყო. ბანკის დახმარებით ჩვენ მოვიწვიეთ აგრონომი ექსპერტები მთელი მსოფლიოდან - ავსტრალია, თურქეთი, შვეიცარია, გერმანია - და ვცადეთ მათი მიდგომის ადაპტირება საქართველოს პირობებისადმი, მაგრამ არა მაღალი ხარისხის და გარემოსდაცვითი სტანდარტების ხარჯზე. შედეგად, ჩვენ გავზარდეთ პომიდორის მოსავალი 70 ტონამდე/ჰა-ზე და კიტრის 12 ტონიდან/ჰა-ზე 60 ტ-მდე. ჩვენ გვინდა, მივალწიოთ გერმანიის მოსავლიანობის დონეს - 120 ტონას! ჩვენ ასევე ძალიან ვამაყობთ, რომ მარნეულის სასურსათო ქარხნის ფუნქციონირება კარგ სამსახურს უწევს ადგილობრივ ფერმერებს. 2007 წელს, როდესაც ჩვენ დავიწყეთ, იქ მხოლოდ რამდენიმე მცირე ფერმერი იყო, რომელთა პროდუქტის შეძენა შეგვეძლო. დღეს 150-ზე მეტია. ჩვენი ხილი მთლიანად და ბოსტნეულის ნახევარზე მეტი მოჰყავთ მცირე ფერმერებს. მაგრამ ჩვენ გვჭირდება ბევრად მეტი მოწოდება არა მხოლოდ მცირე ფერმერებისგან, არამედ უფრო დიდი მომწოდებლებისგან, რომლებსაც შეეძლება მოგვაწოდონ პროდუქტების სამრეწველო რაოდენობა. ასეთი მომწოდებლები არ არსებობს ამ მომენტისთვის და კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ინვესტორებისთვის, რათა მათ უსაფრთხოდ იგრძნონ თავი სექტორში შემოსვლისას. საინვესტიციო კლიმატი უმჯობესდება და იმედი მაქვს, რომ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო კომპანია შემოვა ბაზარზე საქართველოში და ჩვენთან იმუშავენ.

ირინა გაფრინდაშვილი, მარნეულის სასურსათო ქარხნის დირექტორი.

*EBRD, 23.04.2015*

### **„ყვარლის ბაგა“ აწარმოებს რძეს საქართველოს ღვინის რეგიონში.**

#### **EBRD-ის ბანკის სესხი დაეხმარა „ყვარლის ბაგას“ ფერმის დაფუძნებაში კახეთში.**

კახეთი თითქმის მთლიანად დაფარულია ვენახებით: ეს არის საქართველოს ყველაზე ცნობილი ღვინის რეგიონი. მაგრამ ქართველებს არ სჭირდებათ მხოლოდ ღვინო. ქართულ ოჯახებს სჭირდებათ ახალი, მაღალი ხარისხის რძე და არა იმპორტირებული ფხვნილისაგან მიღებული პროდუქტი. ქვეყანაში გაყიდული რძის მხოლოდ ერთი მეათედი არის ადგილობრივად წარმოებული. კახეთის ციცაბო მთებში, სადაც ვაზი ვერ ადის, უამრავი პატარა ზომის ადგილობრივი ძროხაა. აქ შესაძლებელია ხორცის და რძის წარმოება, მაგრამ არა დიდი მოცულობით. ადგილობრივმა მესაკუთრემ, მეწარმე ლაშა პაპაშვილმა დაინახა ეს ბიზნეს შესაძლებლობა. ბატონმა პაპაშვილმა არაფერი იცოდა რძის პროდუქტების შესახებ, მაგრამ იცოდა, თუ როგორ უნდა დაიწყოს წარმატებული ბიზნესი. მან გამოიკვლია სექტორი, აიღო 1,3 მილიონი აშშ დოლარი სესხი EBRD-სგან, ჩამოიყვანა საუკეთესო პროფესიონალები შვეიცარიიდან, ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან და მოძებნა ძირითადი მომწოდებელი ფერმა ქალაქ ყვარელის ახლოს, 140 კმ-ზე თბილისის აღმოსავლეთით. შემდეგ შეიძინა 136 Holstein heifers ჯიშის ძროხა გერმანიიდან. „ყვარლის ბაგას“ ახალ ფერმას ახლა თითქმის 380 ძროხა ჰყავს და რძის უმსხვილესი მწარმოებელია ქვეყანაში. „ეს იყო მარტივი ბიზნესი“, განაცხადა მან. „ჩემი ინტერესია ეკონომიკის ამ სექტორში - სოფლის მეურნეობასა და განსაკუთრებით რძის მეურნეობაში, სადაც მაღალი მოთხოვნაა - მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოში არსებობს აგრობიზნესის დიდი პოტენციალი“. ამ ფერმის ძროხები ყველაზე დიდი და პროდუქტიულია საქართველოში, საშუალოდ 27 ლიტრ რძეს იწველიან დღეში. ფერმა, სავარაუდოდ, დაახლოებით 9 000 ლიტრ რძეს მიიღებს დღეში და მისი გამომუშავება განუხრელად იზრდება. მაგრამ მთავარი, რაც გააოცებს სტუმარს ფერმაში, არის ცხოველთა მოვლა და ჰიგიენური სტანდარტები. ძროხები ბალახობენ ღია ცის ქვეშ მთებში და რძის

ხარისხის ტესტირება ხდება ადგილზე ყოველ მოწველაზე (რაც ხდება სამჯერ დღეში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებსა და ისრაელში). იმავდროულად, ბატონი პაპაშვილი განიხილავს მომავალ ნაბიჯებს რძის მეურნეობასა და სხვა სექტორებში და აპირებს მოიპოვოს მუდმივი მხარდაჭერა EBRD-ისგან. „ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ EBRD-მ გარისკა ჩვენთან ერთად აემენებინა ამ სახის ბიზნესის საქართველოში და მე იმედი მაქვს, რომ ის მიიღებს მონაწილეობას ჩვენი მეურნეობის გაფართოებაშიც“, განაცხადა მან.

*EBRD, 24.04.2015*

### **დაიწყო სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომის და მოქნილობის პროექტის განხორციელება.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომის და მოქნილობის“ (AMMAR) პროექტი, რომელიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) ერთად, დაიწყო. ამ პროექტისთვის IFAD-მა გამოყო 19 მილიონი აშშ დოლარი, მათ შორის 6 მილიონი აშშ დოლარი გრანტია. როგორც აღინიშნა პროექტის პრეზენტაციაზე დღეს, თბილისში AMMAR არის მე-5 პროგრამა, რომელსაც აფინანსებს IFAD საქართველოში. ახალი პროექტის მეშვეობით, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიასთან თანხვედრაშია, ჩვენ ხელს შევუწყობთ ფერმერული მეურნეობების ინფრასტრუქტურის განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ინვესტიციების მოზიდვას, განაცხადებს სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

*Sarke Information Agency, 23.04.2015*

### **პრემიერ-მინისტრი: მცხეთა-მთიანეთს ტურიზმის და სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს.**

მცხეთა-მთიანეთს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დღეს სამთავრობო პროექტის „ძლიერი რეგიონი - ძლიერი საქართველოსთვის“ წარდგენისას ამ რეგიონში. კერძოდ, მცხეთის რაიონს აქვს ტექსტილის წარმოების პერსპექტივა, ასევე მოხდება საკონდიტრო და შერეული საკვების საწარმოების დაარსება, ხოლო ყაზბეგის რაიონში - შეიქმნება ლოჯისტიკური ცენტრი, მატყლის საწარმო, სამშენებლო მასალების ქარხანა. დასრულებულ პროექტებზე საუბრისას ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 124 ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულებულ იქნა რეგიონში, ხოლო 132 - მიმდინარეობს. მათი საერთო ღირებულება 56 მილიონი ლარია. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააფინანსა 8 ახალი საწარმოს დაარსება და 9 არსებულის მოდერნიზაცია, ასევე 29 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა და 290 შეღავათიანი აგროკრედიტი გაიცა, აღნიშნა პრემიერმა.

*Sarke Information Agency, 22.04.2015*

### **საქართველოს მთავრობა აფინანსებს 119 საწარმოს.**

საქართველოს მთავრობა აფინანსებს 119 საწარმოს სოფლის მეურნეობის სექტორში, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ დღევანდელ სამთავრობო შეხვედრაზე. მან განაცხადა, რომ მედია ტური მოეწყო საქართველოს ყველა რეგიონში მთავრობის დაფინანსებით შექმნილ ყველა საწარმოში დაინტერესებული ჟურნალისტებისთვის. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ჟურნალისტს, რომლებიც დაინტერესდნენ საწარმოების გაცნობით. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მედია ტური იყო ახალი იდეა. „მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ვაჩვენოთ ყველა საწარმო, რომლებიც მთავრობის დაფინანსებით იქმნება. მე ვფიქრობ, რომ მედიას და ოპოზიციურ პარტიებს აღარ ექნებათ რაიმე შეკითხვები დაპირებული საწარმოების და მათი ადგილმდებარეობის შესახებ“, განაცხადა ღარიბაშვილმა.

*Agenda.ge, 20.04.2015*

### **ღვინის ეროვნული სააგენტო: ქართული ღვინის ექსპორტი Xinjiang-ის პროვინციაში გაიზარდა 3-ჯერ.**

ქართული ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, Xinjiang Beifangjianda Trade Co, ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია ჩინეთის პროვინცია Xinjiang-ში, მიმდინარე წელს გეგმავს 500 000 ბოთლი ღვინის იმპორტს საქართველოდან. ეს მაჩვენებელი 3-ჯერ აღემატება გასული წლის მონაცემს, აღნიშნეს სააგენტოში. გარდა ამისა, კომპანია გეგმავს ქართული ღვინით ვაჭრობის დაწყებას 400 კვ.მ ფართზე სავაჭრო ცენტრ Horgos-ში (თავისუფალი ეკონომიკური ზონა ყაზახეთის საზღვართან) და იქ ქართული ღვინის დეგუსტაციასა და გამოფენების მოწყობას. ასევე, სააგენტოს ცნობით, ქართული ღვინის მაღაზია გაიხსნება ცენტრალურ ქუჩაზე ქალაქში. გარდა ამისა, Xinjiang Beifangjianda Trade Co-მ დაიწყო ღვინის ტურები - საქართველოში უკვე ჩამოიყვანა 500 ჩინეთის მოქალაქე, განაცხადეს სააგენტოში. უნდა აღინიშნოს, რომ 364 778 ბოთლი ღვინო (0,75 ლ) ექსპორტზე გაიტანეს 1 კვარტალში საქართველოდან ჩინეთში. ეს მოცულობა 64%-ით აღემატება იმავე პერიოდის მონაცემს 2014 წელს.

*Sarke Information Agency, 21.04.2015*

### **სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ახალი ბალები გაშენდება 61,94 ჰა-ზე შიდა ქართლში.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 8 ბენეფიციარმა მოიპოვა დაფინანსება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „დანერგე მომავალის“ ფარგლებში. შედეგად, ახალი ბალები დაირგება შიდა ქართლის რეგიონში 61,94 ჰა ფართობზე, განაცხადეს სამინისტროში. სამინისტროს განცხადებით, ბენეფიციარებმა მიიღეს სულ 450 524 ლარი დაფინანსება ბალების გასაშენებლად და სარწყავი სისტემებისთვის. მათ უნდა დარგონ ახალი ხეხილის ბალები (ვაშლი, ატამი, ქლიავი, ბალი) მაისის ბოლომდე. შეგახსენებთ, რომ განაცხადებს დაფინანსების თაობაზე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამა წლის მარტიდან იღებდნენ. სამინისტროს განცხადებით, 15 მილიონი ლარი დაიხარჯება 2-წლიანი პროგრამის განხორციელებაზე. პროგრამა მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო მიწის მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობას ყველა მუნიციპალიტეტში (თბილისის, რუსთავის, ბათუმის და ფოთის გარდა), მრავალწლიანი ხეხილის ბალების და სანერგე მეურნეობების შექმნას. ბალების დარგვის შემთხვევაში სახელმწიფო თანადაფინანსების პრინციპით იხდის ნერგების ღირებულების 70%-ს და სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს, ასევე სანერგე მეურნეობის შექმნის ღირებულების 50%-ს.

*Sarke Information Agency, 30.04.2015*

### **სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი**

#### **სომხეთი კრძალავს ფრინველის იმპორტს თურქეთიდან.**

სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის არმენ აირაპეტიანის 7 მაისის ბრძანებით 2015 წლის 7 მაისიდან აკრძალულია ცოცხალი ფრინველის, ფრინველის ხორცის, ნედლეულის (ბუმბული), კვერცხის, ხორცის და ძვლის, საქონლის საკვების, დამატებითი საკვების (გარდა ქიმიკატების და სინთეზური ნივთიერებების შემცველი საკვებისა), პოლიმერული და მუყაოს კოლოფების და ხელსახოცების იმპორტი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კარანტინის გაუქმებამდე. როგორც „არმენპრესს“ აცნობეს სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უსაფრთხოების სამსახურიდან, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფრინველის გრიპის (H5N1 ტიპის) დაავადების სომხეთის რესპუბლიკაში გავრცელების ასარიდებლად. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ფრინველის გრიპი (H5N1 ტიპის) გაჩნდა თურქეთის რესპუბლიკაში. აკრძალვა არ ვრცელდება თურქეთიდან 2015 წლის 23 აპრილამდე ექსპორტირებულ საქონელზე.

ერევანი, 7 მაისი, *ARMENPRESS*.



## ტენდერები და განცხადებები

**ტენდერი: კონსალტინგი, სოფლის მეურნეობაში დამატებითი ღირებულების შემქმნელი საწარმოების ჯაჭვი.**

გათვალისწინებულია: ტექნიკური დახმარება ზემოხსენებული პროექტის ჩარჩოებში სოფლის მეურნეობაში დამატებითი ღირებულების შემქმნელი საწარმოების განვითარებისათვის (მაგ. კურკოვანი ნაყოფი, მარცვლოვანი ნაყოფი, კენკრა, ბოსტნეული, კარტოფილი. თაფლი, მწვანილი, თხილი, პარკოსნები და სხვ.): კონსულტაცია/სწავლება, წინასწარი პროექტი და კონცეფცია (რაც მოიცავს მარკეტინგს, გადამუშავებას, დასაწყობებას, მომსახურებას და სხვ.), რეგიონების და საქმიანობის სპეციფიკაციისა და არჩევანის კრიტერიუმისათვის, ცალკეული საქმიანობის ჯაჭვისათვის სტრატეგიის წინასწარი დაგეგმვა და შემუშავება; სემინარების ორგანიზაცია შესაბამისი მონაწილეებისათვის.

### პარტნიორის ძებნა აგრო-ბიზნესში

ბ-ნი გიორგაძე ფლობს მიწის ფართობებს გურასა და სამეგრელოში და ეძებს ბიზნეს-პარტნიორს თხილის მოყვანასა და წარმოებაში. აქვს ბიზნესის დასაწყებად ხელსაყრელი კავშირები ადგილობრივ საზოგადოებასთან. ის მზად არის განიხილოს ერთობლივ ბიზნესთან დაკავშირებული საკითხები დაინტერესებულ პირებთან. შემდგომი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით გაგა გიორგაძეს შემდეგ ტელეფონზე და ელ-ფოსტაზე:

(+995) 574 454 565, E-mail: [g.giorgadze@gmail.com](mailto:g.giorgadze@gmail.com)

### ენერგეტიკა სოფლის მეურნეობაში: გლობალური ინოვაციების მეორე კონკურსი!

ენერგეტიკა სოფლის მეურნეობაში: ენერგია დიდი გამოწვევაა განვითარებისთვის (PAEGC). გლობალური ინოვაციების მეორე კონკურსი განკუთვნილია სუფთა ენერგეტიკის დარგში ინოვაციური ტექნოლოგიების და ბიზნეს მოდელებისთვის სოფლის მეურნეობაში. ყველა სახის ინფორმაცია და ვადები იხ. [ამ ბმულზე](#).

ყველა GTAI-ტენდერი საქართველოსთვის იხილეთ [ამ ბმულზე](#)

ყველა EBRD-ტენდერი სომხეთის და საქართველოსთვის იხილეთ [ამ ბმულზე](#)

ყველა EU-გრანტი იხილეთ [ამ ბმულზე](#)

## გამოცემები და სხვა

**Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2015 წლის აპრილის #32 გამოცემა**

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით [მისამართზე](#).

<http://agrogeorgia.blog.com/>

**ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი**

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ [ამ ბმულზე](#)

[http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/tradenewsletter\\_n1\\_2012\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/tradenewsletter_n1_2012_ka.pdf)

**ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან**

სიახლეები იხ. ამ ბმულზე [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)

### **სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო**

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე. [link](#)

### **DWV & AGRICULTURE**

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ინფორმაცია და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე.

[here](#)

### **Agro & Food Up-to-Date**

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.

<http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>

<http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/>